

გენდერული თავისუფლების ფორმები ქართულ ლიტერატურაში ჟენოქრატული და სოციალური ემანსიპაცია

ლილი მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი; კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი; თსუ შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ელ-ფოსტა: Lili.metreveli@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-3263-1593>

თათია ობოლაძე

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ელ-ფოსტა: tatia.oboladze@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-2326-5965>

აბსტრაქტი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამერიკულ და ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში ფორმირებულ ფემინისტურ დისკურსს, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციული გენდერული როლებისა და კულტურული სტერეოტიპების გადაზრებას, ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, სექსუალურ და შემოქმედებით ემანსიპაციასთან დაკავშირებული თემების გააქტიურებას, მალევე შეუერთდა ქართული ლიტერატურაც. დასავლეთის მსგავსად, საქართველოშიც ქალების აქტივიზმი დაკავშირებული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების საშუალებით ცნობიერების ამაღლებასა და საუკუნების განმავლობაში კონსტრუირებული გენდერული მითების მსხრევასთან. ფემინისტური ნარატივის მხატვრული რეპრეზენტაცია გვხვდება მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე შემდეგი ქართველი ქალი ავტორების ტექსტებში: ეკატერინე გაბაშვილი, საფო მგელაძე, ბარბარე ჯორჯაძე, ლილია მეგრელიძე, კატო მიქელაძე და სხვ.

20-იანი წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიამ ფემინისტების აქტივიზმი და მათი მხატვრული შემოქმედება დასავლური ტენდენციების მექანიკურ კოპირებად და ახალი სოციალისტური რეალობისთვის შეუსაბამო პოზიციად გამოაცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა „გენდერული ემანსიპაციის“ საკითხი საბჭოთა კავშირში „გადაჭრილად“ ითვლებოდა. განსხვავებით დასავლეთისგან, ქალების განათლება, მუშაობა, აბორტისა და განქორწინების ლეგალიზაცია, სექსუალური ლიბერალიზაცია, ჰომოსექსუალიზმის დაშვება (1934 წლამდე) პოლიტიკური და იდეოლოგიური დღისწესრიგის ნაწილად იქცა, ხოლო პროპაგანდამ ეს საკითხი დასავლეთთან უპირატესობის დემონსტრირების ერთ-ერთ ბერკეტად გამოიყენა. შესაბამისად, სოციალისტური დისკურსის პირობებში იქმნება ახალი, „ემანსიპირებული საბჭოთა ქალის“ მითი, რომლის უპირველესი ფუნქცია საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავი შრომა ხდება.

სტატიაში განხილულია ქართველი ფემინისტი ქალი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის პიესა „ფრთებდაგლეჯილი“ და პოლიკარპე კაკაბაძის პიესა - „კოლმეურნეს ქორწინება“. სხვადასხვა კონტექსტში შექმნილი ორი ტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია, როგორ ჩაანაცვლა 10-იან წლების ქართულ ლიტერატურაში აქტიური ფემინისტური დისკურსი საბჭოთა ქალის მითმა, როგორ გაქრნენ ქართული ლიტერატურული ველიდან თვითგამორკვევის პროცესში მყოფი მრავალფეროვანი ქალი პერსონაჟები და ავტორები და როგორ შეიქმნა უნიფიცირებული საბჭოთა ქალის სახე.

საკვანძო სიტყვები: გენდერული ემანსიპაცია; ფემინისტური დისკურსი; საბჭოთა ფემინიზმი.

შესავალი. დასავლეთში ფორმირებულ ფემინიზმის პირველ ტალღას, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ემანსიპაციას, ტრადიციული გენდერული როლებისა და კულტურული სტერეოტიპების გადაზრებას¹, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ლიტერატურაც გამოეხმაურა². ქართულ კულტურულ სივრცეს ეტაპობრივად უერთდებიან ბარბარე ჯორჯაძე³ (1833-1895 წწ.), ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938 წწ.), ანასტასია ერისთავი ხომტარია (1868-1951 წწ.), კატო მიქელაძე (1878-1942 წწ.) მარიამ გარიყული (1883-1960 წწ.), ლილია მეგრელიძე (1883-1968 წწ.), ბაბილინა ხოსიტაშვილი (1884-1973 წწ.) ანა ხახუტაშვილი (1886-1960 წწ.), საფო მგელაძე (1894-1936 წწ.) და სხვ. ქალი მწერლები არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და აქტივიზმით ადვოკატირებას უწევენ ფემინისტური პრობლემების გაშუქებას. ქართველი ფემინისტების სტრატეგიული ამოცანა ქალების საგანმანათლებლო და კულტურულ პროცესებში აქტიური ჩართვა იყო⁴. მნიშვნელოვანია, ქალი მწერლების თანამშრომლობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, მათ მიერ სხვადასხვა დროს ქალთა გაერთიანებების, კლუბების⁵ („ქართველ ქალთა ამხანაგობა“, „ქალთა კლუბი“, „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „ქალთა ინტერპარტიული კლუბი“) დაფუძნება, საბავშვო ლიტერატურული ჟურნალების („ჯეჯილი“, „ნობათი“, „ნაკადული“) დაარსების მხარდაჭერა და პერიოდული გამოცემების სარედაქციო ჯგუფის წევრობა, სხვადასხვა რეზონანსული ლიტერატურული კრებულების, თარგმანების გამოცემა („თარგმანნი საამო საკითხავთა თხზუ-

¹ როგორც ბრიტანელი ფემინისტი რიტა ფელსკი ნაშრომში „ფემინისტური ლიტერატურა და სოციალური ცვლილებები“ აღნიშნავს, პირველი ტალღის ფემინიზმი ნაკლებ ინტერესს იჩენდა ფუნდამენტური თეორიული დასაბუთების მიმართ. თეორიული დისკურსის განვითარებას და ქალთა კვლევების გაფორმებას აკადემიურ დისკურსად ფელსკი უკავშირებს 1970-80-იანი წლების პერიოდს („Beyond feminist aesthetics: Feminist literature and social change“). ფემინიზმის ისტორიაში უნდა გამოვყოთ რამდენიმე გავლენიანი ავტორი და მიმართულება, რომლებმაც თავდაპირველად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ შემოქმედებით ემანსიპაციის, შემდგომ ეტაპზე კი ქალების ფუნდამენტური უფლებების (პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის, ხმის მიცემის, სრულფასოვანი განათლების მიღების, საკუთრების ფლობის და ა.შ.) აღიარებისა და გენდერული მითების/სტერეოტიპების დეკონსტრუქციის პროცესში. ამ თვალსაზრისით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მიმართულებები და ავტორები: განმანათლებლური ფემინიზმი - მერი უილსონკრაფტის „ქალთა უფლებების დაცვა“ (1790 წწ.), მარგარეტ ფულერი „ქალი მე-19 საუკუნეში“ (1845 წწ.), პოლიტიკური ფემინიზმი - ფემინიზმი ლიბერალიზმის პერსპექტივიდან, ჯონ სტიუარტ მილის „ქალთა დაქვემდებარება“ (1869 წწ.), ქალთა ეკონომიკური და შემოქმედებითი ემანსიპაცია ვირჯინია ვულფი - „საკუთარი ოთახი“ (1929 წწ.)

² მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეს უერთდებიან ქალი ავტორები ფემინისტური თემებით: ემილი ბრონტე „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, შარლოტა ბრონტე „ჯეინ ეარი“, „მასწავლებელი“, „შერილი“, ენ ბრონტე „აგნეს გრეი“, ჯეინ ოსტინი „სიამაყე და ცრურწმენა“, „სანდიტონი“, ლუიზა მეი ოლკოტი „მატარა ქალები“ და სხვ.

³ „ბარბარე ჯორჯაძე იყო „პირველი მერცხალი“, ვის შემდეგაც ჟურნალმა ცისკარმა ფართოდ გაუღო კარი სხვა ქართველ მწერალ ქალებს - სალომე მაყაშვილს, მარიამ და ეკატერინე ერისთავებს, ნინო ორბელიანს, ნინო აბაშიძეს, ეკატერინე დანდუროვს და სხვ.“ - აღნიშნავს გენდერული საკითხების ქართველი მკვლევარი თამარ ციციშვილი ბარბარე ჯორჯაძის შესახებ ვრცელ წერილში (ციციშვილი 2015: გვ. 168-169).

⁴ ამ მიზნით ეკატერინე გაბაშვილმა საკუთარ სახლში გახსნა ჭრა-კერვის სკოლა, რაც დარიბი და ობოლი გოგონებისთვის პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა აღმოჩნდა. ამავე დროს ეკატერინეს სახლი ქართველი ფემინისტი მწერალი ქალების თავშესაფრისა და შემოქმედებითი იდეების გაზიარების სივრცედ იქცა.

⁵ 1870 წელს ეკატერინე გაბაშვილმა დაარსა „ქართველ ქალთა ამხანაგობა“, 1895 წელს - „ქალთა კლუბი“, 1916 წელს - „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, ხოლო 1918 წელს - კატო მიქელაძემ „ქალთა ინტერპარტიული კლუბი/ლიგა“.

ლებათა“⁶ - 1870 წ., „ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი“⁷ - 1925 წ.), პირველი ფემინისტური ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთის - „ხმა ქართველი ქალისა“ - დაარსება, რომელშიც გაქდერებული იყო ქალთა უფლებების გამომხატველი და მათი გაერთიანების იდეის შემცველი მოწოდებები: „სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ქალებს“, „გაუმარჯოს ქალთა სოლიდარობას“, „ქალებო, მთელი ქვეყნისა, შეერთდით“, დევიზი - „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა“. იბეჭდება სტატიები შემდეგი სათაურებით: „ქალებო, მოითხოვეთ ხმის უფლება“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N2), „ქართველი ქალი დღევანდელ ოჯახში“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N2). „დედაკაცი - თავისუფალი მოქალაქე“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N5) „მიეცით გზა ქალებს“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N11) „მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N19) „როგორ ვებრძოლოთ პროსტიტუციას?“ („ხმა ქართველი ქალისა“ 1917, N23) და ა.შ.

ფემინისტური თემები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ქალი ავტორების ლიტერატურული დისკურსის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეკატერინე გაბაშვილის ავტობიოგრაფიული⁸ პიესის „ფრთებდაგლეჯილი“⁹ მაგალითზე განვიხილავთ, როგორ გაიაზრეს ქართველმა ქალმა მწერლებმა ფემინიზმის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა - ქალების მემოქმედებითი ემანსიპაცია და როგორ რეფლექსირდა ეს თემა მხატვრული ტექსტის დონეზე.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება შედარებით-ტიპოლოგიურ, ისტორიულ-კულტურულ და ფემინისტურ ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს. ნაშრომში ერთმანეთთან შედარებულია სხვადასხვა ისტორიულ და იდეოლოგიურ კონტექსტში შექმნილი ორი დრამატული ტექსტი: ეკატერინე გაბაშვილის „ფრთებდაგლეჯილი“ და პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნეს ქორწინება“. მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო პერსონაჟთა გენდერული ფუნქციების, სოციალური როლებისა და ემანსიპაციის მოდელების ინტერპრეტაცია.

მსჯელობა. საგულისხმოა, რომ ეკატერინე გაბაშვილმა თითქმის ორი ათეული წლით ადრე - 1912 წელს დასვა კითხვა, რომელიც პირველი ტალღის ფემინისტი ევროპელი მწერლების, მათ შორის - ვირჯინია ვულფის - („საკუთარი ოთახი“ 1929 წ.) განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა - რატომ არ ისმის ქალის ხმა ლიტერატურაში?

პიესაში წარმოდგენილია ორი განსხვავებული პერსპექტივა ქალის გენდერული ფუნქციისა და თვითრეალიზაციის შესახებ. ერთ მხრივ, ქეთო - მწერალი ქალი - და მისი რედაქტორი, რომლებიც ტექსტში უმცირესობის აზრს წარმოადგენენ და მარგინალიზებულნი არიან. ქეთო საკუთარ თავს

⁶ „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ გამოიცა 1872 წელს, 1870 წელს ეკატერინე გაბაშვილის, ეკატერინე მელიქიშვილისა და ელენე ყიფიანის მიერ დაარსებული „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ მიერ. „რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელ ავტორთა თარგმნასა და გამოცემას. კრებულში შესულია „პარიჟელი ბიჭი“ (ნაწყვეტი ვ. ჰიუგოს რომანიდან „საბრალონი“), „ამერიკელი ქალები XVIII საუკუნისა“, „ჟულ ტარო“ და „უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსსელისა“. გამოცემას სეროზული რეზონანსი მოჰყვა, რამაც მძლავრი ზიგის მისცა ქართველ ქალთა გააქტიურებას საზოგადოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ასპარეზზე“ (იხ. ბმული: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია - <https://georgianencyclopedia.ge/ka/form/19127>)

⁷ კრებულში დაიბეჭდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე მნიშვნელოვანი ქალი ავტორების მხატვრული ტექსტები - ეკატერინე გაბაშვილის „სოფლის მეფახშენი“, საფო მგელაძის ლექსები: „ქარიშხლის ფრთებზე“, „ნაწყვეტი პოემიდან“, ლიდია მეგრელიძის „ახალი მემკვიდრე“, „დღეები ბორჯომში“, მარიჯანის „წიგნიდან შემთხვევითი თემები“, ნინო ნაკაშიძის „საღდათი“ და სხვ. ამავე დროს - ქალი მწერლების პუბლიცისტური წერილები და თარგმანები: (ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო-სალიტერატურო ალმანახი, ელექტრონული ვერსია 1926 წელი: <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/5385/1/samxatvro%2c%20saliteraturuli%20almanaxi.pdf>)

⁸ მარიამ გარიყულისადმი მიწერილ წერილში ეკატერინე გაბაშვილი აღნიშნავს: „განა მე არ მიშლიდნენ ხელს შვილები ლიტერატურულ მუშაობაში? მიშლიდნენ და ძალიანაც მიშლიდნენ. ჩემი ერთმოქმედებანი სცენა „ფრთებდაგლეჯილი“ სწორედ ამ ნიდადგაზეა დაწერილი, მაგრამ რას ვიზამთ, ჩემო კარგო მარიამ! დედაკაცის ხეცდრი ეს არის...“ (გორგალავა 2014: <https://feminism-boell.org/ka/2014/06/04/mariam-gariquli>)

⁹ პიესა 1912 წელს დაიბეჭდა სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ # 2 ნომერში.

მამაკაცის თანასწორად აღიქვამს ინტელექტუალური და სოციალური თვალსაზრისით, მისი აზრით, ოჯახი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის დროისა და პროფესიის პატივისცემას. მეორე მხრივ, პატრიარქალური საზოგადოების პერსპექტივიდან (ქმარი ნიკო, დედამთილი - ბარბარე, მსახური ქალი - მელანია) სრულად უარყოფილია ქეთოს პროფესიული არჩევანი, სკეპტიკურადაა შეფასებული მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ქეთოს სოციალური და ეკონომიკური უფლებები მხოლოდ ფიქტიურად არის გათანაბრებული ნიკოსთან, თუმცა რეალურად მას არ აქვს „საკუთარი ოთახი“ და არაა აღირებული არც მიკრო და არც მაკრო სივრცეში.

ქეთოს გარემოცვა მისგან ტრადიციული სოციალური და კულტურული ნორმის მიღებას მოითხოვს, რომლის მიხედვით, „ქეშმარიტი ქალი“ ნიშნავს მორჩილ პოზიციას, ქალის გენდერული როლი კი უკიდურესად შეზღუდული და რეგლამენტირებულია, მხოლოდ მამაკაცის მსახურებით, დიასახლისობითა და დედობით შემოიფარგლება.

ბარბარე (დედამთილი): „ვის გაუგონია, გეთაყვანეთ, გათხოვილი ქალი და გაზეთები, წერილები...“ (გაბაშვილი 2021: 306).

მელანია - მსახური: „დიდი რამე მაგის ნაჯღაბნები თუ დავწვი. ბატონი ტყუილად კი არ აყვდრის: სულ სწერ და სწერო, კითხულობო, სწერ და კითხულობო“ (პაუზა). ქალი უნდა ტახტზედ უნდა იჯდეს და მთელი დღე ქმარ-შვილს საკერავს უკერავდეს, სახლ-კარს უვლიდეს, შვილებს დასტრიალებდეს! ეგ კი სულ დუ, დუ, დუ!“ (გაბაშვილი 2021: 303).

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ვირჯინია ვულფი თავის ესეში „საკუთარი ოთახი“ ქალების შემოქმედებითი ემანსიპაციისთვის პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, მიუთითებს ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე, ვინაიდან მამაკაცების მხრიდან საუკუნეების მანძილზე სწორედ ეკონომიკური ფაქტორი ხდებოდა ქალებზე მანიპულაციისა და დომინირების ბერკეტი. აღნიშნული სოციალური და კულტურული ნორმის ფარგლებში მოქმედებს ნიკო, რომელიც პრივილეგირებული მდგომარეობის დემონსტრირებით, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას, მეორე მხრივ, კი ქეთოს ფინანსურ შეზღუდულობას მისდამი მორჩილების ინსტრუმენტად აქცევს:

ნიკო (ქმარი) - „ნიკო (ყვირის) როგორ თუ მაძებნინებ! მე და შენ ერთ ვართ? მაშ, სამსახურში რომ დავდივარ, ხუთ-ექვსს საათს ორად მოკაკული ვზივარ და ვწერ, ოცში რომ შრიალ-შრიალით ახალ-ახალს ასიგნაციებს ჩაგიტვლი ხოლმე, ამას პატივისცემა არ უნდა?“ (გაბაშვილი 2021: 300).

ტექსტში ქეთო არ ემორჩილება დისკრიმინაციულ დისკურსს, რომელსაც მას საზოგადოება სთავაზობს. ვულფის დაკვირვებით, ნორმის წინააღმდეგ ქალის ნებისმიერი ამბოხი განწირულია განადგურებისთვის, შემოქმედებითი უნარი ქალებში, როგორ წესი, განიხილება გადახრად და ხდება მისი მარგინალიზაციის წინაპირობა, კუდიანად, შემლილად იდენტიფიცირება (ვულფი „საკუთარი ოთახი“). რა ბედი ელის ქეთოს, გაივლის თუ არა ის შემოქმედი ქალის არქეტიპულ გზას? კულმინაციურ მომენტში თხრობის შეწყვეტით ამ კითხვას ავტორი უპასუხოდ ტოვებს. ბუნდოვანია ქეთოს, როგორც მწერლის, მომავალი, მოახერხებს თუ არა ის წინააღმდეგობის დაძლევას (მათ შორის უსაფუძვლო ბრალდებების - რედაქტორთან რომანტიკული ურთიერთობის გაბმის შესახებ - იგნორირებას) და სოციუმის მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, თვითრეალიზაციას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე ქართველი ქალი ავტორების საზოგადოებრივი მოღვაწეობის გათვალისწინებითა და ეკატერინე გაბაშვილის პიესა „ფრთებდაგლეჯილის“ ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველმა ქალებმა გამოიყენეს ყველა საზოგადოებრივი პლატფორმა თავიანთი სათქმელის გასაჟღერებლად. მართა-

ლია, ქალი მწერლების მიერ დასმული პრობლემების დიდი ნაწილი (ქალების დესაკრალიზაცია¹⁰, ქალის გონებრივი შესაძლებლობებისა და მისი ფსიქო-ემოციური ბუნების მცდარი ინტერპრეტაცია, გენდერული როლების არასამართლიანი გადანაწილება³¹) გადაუჭრელი დარჩა, თუმცა მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ქალების ბრძოლა კონკრეტული შედეგით დასრულდა. 1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით კენჭს იყრიდა 17 ქალი, რომელთაგანაც 5 მათგანი³² წევრად აირჩიეს.

ქართველი ქალების მხრიდან ევროპული ფემინისტური სკოლის თანადროულად (და ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ადრეც) გენდერული თემების აქტუალიზება უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა შეფასდეს ქართული ფემინიზმის ისტორიისთვის, რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გენდერული პოლიტიკა და მისი ლიტერატურული რეფლექსია.

სოციალისტური ფემინიზმის იდეოლოგი ალექსანდრა კოლონტაი (1872-1952) დასავლეთსა და საბჭოთა კავშირში ქალების განსხვავებულ უფლებებზე მდგომარეობაზე მსჯელობისას აღნიშნავს: „მთელს მსოფლიოში ქალები აგრძელებენ ბრძოლას საკუთარი უფლებებისთვის, თუმცა ამ გზაზე თავიანთი ბურჟუაზიული მთავრობების მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობასა და უარყოფას აწყდებიან. ქალებმა დასავლეთში ვერ შეძლეს ისეთი უფლებების მოპოვება, როგორიც გააჩნია თითოეულ ქალს საბჭოთა კავშირში“ (კოლონტაი, 1919).³³

პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნეს ქორწინების“ ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება საბჭოთა კავშირის გენდერული სტრატეგიის გამოვლენა, ვინაიდან ტექსტის მთავარი გმირი ახალი დროის ქალია. „კოლმეურნის ქორწინებაში“ მოქმედება სოციალისტურ სოფელში ვითარდება. პიესაში, ძველი დროების გადმონაშთებისა (ხახული, მანუჩარი) და უწარსულო თადლითების (ვატა, კაკალა, ლომკაცა) ფონზე განსაკუთრებულად მთამბეჭდავ სახეებს ქმნიან საბჭოთა გმირები, სოციალისტური იდეებით მთავონებული ადამიანები (გვირისტინე, მირიანე, ირინე, ჯამლეტი).

ტექსტის მთავარი პერსონაჟი - გვირისტინე - თავდაჯერებული, დამოუკიდებელი და აღიარებული ქალია, რომელიც საკუთარ პოზიციას ყველგან და ყველასთან მტკიცედ აფიქსირებს, მათ შორის მოსკოვში, სტახანოველების ღონისძიებაზე, სადაც სიტყვით გამოსვლა უდიდეს მიღწევად ითვლებოდა საბჭოთა რეალობაში. გვირისტინეს სიტყვამ აღაფრთოვანა საბჭოთა ელიტა და სტალინის მოწონებაც დაიმსახურა: „ერთმა დიდმა ამხანაგმა, სტალინს უჯდა ერთ მხარეს, მკითხა:

¹⁰ „ძალიან მიჭირს თავის შეკავება, როცა ვხედავ, როგორ იწყებს მამაკაცი მოწადინებული და სერიოზული მზრუნველობით ქალისთვის ცხვირსახოცის მიწოდებას ან კარის დახურვას, როცა ქალბატონს შეუძლია ეს თავად გააკეთოს, თუ ხელს ოდნავ გაანძრევს (უილსთონგრაფტი 2017: 45).

წარმოსახვაში ქალი უმაღლესი არსებაა, პრაქტიკულად კი სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველი. ის პოეზიის მთავარი გმირია, ის ყველაგანაა, ისტორიის გარდა. მხატვრულ ლიტერატურაში ქალი განაგებს მეფეებისა და დამპყრობლების ბედ-იღბალს; რეალობაში კი იმ კაცის მონაა, რომელიც თითზე ბეჭედს უკეთებს (Woolf, 1929: 33).

³¹ „ქორწინება არის დანიშნულების პუნქტი, დადგენილი საზოგადოების მიერ ქალებისთვის, პერსპექტივა, რომლისკენაც ისინი მიისწრაფიან, და მიზანი, რომელიც განზრახვის მიხედვით, ყველა მათგანისთვის სასურველი უნდა იყოს, გარდა ნაკლებად მიმზიდველებისა, რომელსაც არც ერთი მამაკაცი არ ირჩევს თანამგზავრად“ (მილი, 2021: 137).

³² მინდორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967), ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937), ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875-გარდაცვალების თარიღი უცნობია), ანა (ოლა) სოლოლაშვილი (1882-1937), ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1887-1973) - მათგან ორი ქალი - ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და ანა (ოლა) სოლოლაშვილი - კონტრრევოლუციური საქმიანობისა და „მოვინისტური განწყობილებების“ ბრალდებით 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა.

³³ ამავე პოზიციას ეხმაურება საბჭოთა პროპაგანდის მთავარი რუპორი, გაზეთი „პრავდა“: „მთავრობა ძალას არ იშურებდა გაეთავისუფლებინა მუშა ქალი ყოველგვარი ექსპლუატაციისგან, მატერიალური გაჭირვებისგან, კულტურის ნაკლებობისგან და ბარბაროსობისგან“ (Правда, 1929).“

მუშაობით ხომ არ იღლებიო. მე ვუთხარი: იმას ვნანობ, რომ თავი დავზოგე მეთქი“ (კაკაბაძე, 1946:162).

გენდერული ემანსიპაციის საბჭოთა მოდელზე საუბრისას, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, მთავარი გმირის არჩევანის თავისუფლების ხარისხს, იმდენად, რამდენადაც თავისუფლება ფემინიზმის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. საინტერესოა, გვირისტინესთვის შრომა არჩევანია თუ სოციალურ თავის დამკვიდრების უალტერნატივო გზა? ჩვენი დაკვირვებით, გვირისტინეს შრომისადმი ობსესიურ დამოკიდებულებას განსაზღვრავს საბჭოთა სტანდარტი, რომელიც თითოეული მოქალაქისგან, მათ შორის ქალისგან, საზოგადოების სრულფასოვანი წევრის სტატუსის მოსაპოვებლად მოითხოვდა კოლექტიური შრომა თვითრეალიზაციის საშუალებად და იდენტობის მსაზღვრელად ექცია. შესაბამისად, ის საბჭოთა იდეოლოგიის „წარმატებული პროდუქტია“, რომლისთვისაც ადამიანის სოციალური ფუნქცია - შრომა - საზოგადოებრივი იზოლაციისგან თავის არიდების ერთადერთ საშუალებად ქცეულა. უფრო მეტიც, შრომისადმი აღმატებული დამოკიდებულება მთავარი გმირის „ქალურობას“ სრულად აუქმებს: [გვირისტინე] „ბოლოს, ჯამლეთმა მითხრა, ერთი ამ მოსკოვში, შენი ორდენის შესაფერი კაბა უნდა გიყიდოვო. მე ვუთხარი: კაბა კი არ იქნება ამ ორდენის შესაფერი, ჩემი მარჯვენა უნდა დარჩეს-მეთქი...“ (კაკაბაძე, 1946: 87).

მნიშვნელოვანია, რომ მშრომელი ქალის სტატუსთან ერთად, საზოგადოება გვირისტინესგან პარალელურად ტრადიციული გენდერული როლის შესრულებასაც მოითხოვს.

„ხახული: – დღე და ღამე იმ კოლექტივის საქმეზე დაშლივინობ. ქალის საქციელი შენ არა გაქვს და ვაჟიც არა ხარ.

გვირისტინე: - რა ვუყო.

ხახული: - სინდისი თუ გაწუხებდეს, მამას მიხედავდი“ (კაკაბაძე, 1946: 74).

„ხახული - კოლექტივში ხეტიალს სჯობს. მოხუცს უპატრონოდ არ მტოვებდე“ (კაკაბაძე, 1946: 75).

დასკვნები. მარი ბერკლი წერილში „ქალები საბჭოთა კავშირში“ ხსნის ტოტალიტარიზმის პირობებში „გენდერული ემანსიპაციის“ მიზანს, მისი შეფასებით, საბჭოეთში ქალის შრომის ბაზარზე შემოყვანა აიხსნება ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და დასავლეთთან უპირატესობის მოპოვების მოტივაციით (Buckley, 1981). მართალიც, გასაბჭოების შემდეგ ქართული ფემინიზმის განვითარების ბუნებრივი პროცესი იზღუდება საბჭოთა ფსევდო გენდერული პოლიტიკით. ახალ რეალობაში არა თუ მოხერხდა ქალთა რეალური ემანსიპაცია და მე-19 საუკუნიდან დაწყებული ფემინისტური მოძრაობის მიღწევების ბუნებრივი განვითარება დასავლეთის მსგავსად, არამედ საბჭოთა რეალობაში პროცესი რეჟიმის მოთხოვნებს დაექვემდებარა და ქალები მამაკაცებისა და იდეოლოგიის, ანუ ირმაგი დაქვემდებარებულობის, პირობებში აღმოჩნდნენ.

ამრიგად, სტატია აჩვენებს, რომ ქართულ ლიტერატურაში ფემინისტური დისკურსი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ორგანულად ჩამოყალიბდა, თუმცა საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ქალის ემანსიპაციის იდეა კოლექტიური შრომისა და სახელმწიფოსადმი ლოიალობის მოდელით ჩანაცვლდა. ეკატერინე გაბაშვილის ქეთო მრავალხმიანი თვითგამორკვევის პროცესს განასახიერებს, ხოლო პოლიკარპე კაკაბაძის გვირისტინე — უნიფიცირებული „საბჭოთა ქალის“ მითს, რომელიც ერთდროულად ექვემდებარება როგორც პატრიარქალურ, ისე იდეოლოგიურ კონტროლს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- გაბაშვილი, ე. (2021). კონა - რჩეული ნაწარმოებები. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
- კაკაბაძე, პ. (1946). ორი პიესა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- მილი, ჯ. ს. (2021). ქალთა დაქვემდებარება. წიგნში: სოციალიზმი, ქალთა დაქვემდებარება. თბილისი: გამომცემლობა iBooks.
- უოლსტონქრაფტი, მ. (2007). ქალთა უფლებების დაცვა. თარგმანი თ. პატარიძე; სამეცნიერო რედაქტორი ნ. ბერეკაშვილი. გენდერის საკითხავი ლიტერატურა. ქრესტომათია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
- ფირცხალავა, ე. (2014). მარიამ გარიყული. ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია. <https://feminism-boell.org/ka/2014/06/04/mariam-gariquli>
- ციციშვილი, თ. (2015). ქართული რეალიზმის სათავეებთან. ბარბარე ჯორჯაძე. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თსუ გამომცემლობის სტამბა.
- ხმა ქართველი ქალისა. (1917-1918). <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/34482>
- Buckley, M. (1981). Women in the Soviet Union. Feminist Review, 8, 79-106. <https://www.jstor.org/stable/139492>
- Felski, R. (1989). Beyond feminist aesthetics: Feminist literature and social change. Harvard University Press. <https://www.hup.harvard.edu/books/9780674068957>
- Kollontai, A. (1918). V.I. Lenin and the First Congress of Women Workers. <https://www.marxists.org/archive/kollontai/1918/congress.htm>
- Woolf, V. (1929). A room of one's own. Alma Classics. <https://almabooks.com/wp-content/uploads/2018/10/room-of-ones-own.pdf>